საქართველოს მთავრობის განკარგულება

№2587 2016 წლის 15 დეკემბერი ქ. თბილისი

ხაშურის მუნიციპალიტეტისთვის სესხის აღებაზე
თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-100 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების შესაბამისად, მიეცეს თანხმობა ხაშურის მუნიციპალიტეტს, ქალაქ ხაშურში მდებარე №7 საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის სამუშაოების დაფინანსების მიზნით, სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისგან აიღოს სესხი 453 150 (ოთხას ორმოცდაცამეტი ათას ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი